სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში

საანგარიშო პერიოდი – 2011 წლის იანვარი

შინაარსი

თავი I. პოლიციის სტატისტიკა 4

ნაწილი 1 - რეგისტრირებული დანაშაული 4

1.1 რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა 4

1.2 კვალიფიკაციის შეცვლა 10

1.3 გამოძიების შეწყვეტა რეგისტრირებული დანაშაულების მიხედვით 14

1.4 ოჯახში ძალადობა 21

ნაწილი 2 - ადმინისტრაციული სამართალდარღვევები 21

2.1 რეგისტრირებული სამართალდარღვევები 21

ნაწილი 3 - დაზარალებული პირები 23

3.1 დაზარალებულ პირთა რაოდენობა 23

თავი II. პროკურატურის სტატისტიკა 25

ნაწილი 4 - სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლები სსკ-ის მუხლების მიხედვით..... 25

4.1 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 25

4.2 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა 30

4.3 გამოძიებისა და დევნის ერთდროულად შეწყვეტა 33

4.4 სასამართლოში წარმართვა 35

ნაწილი 5 - სტატისტიკური ინფორმაცია საპროცესო მოქმედებების მიხედვით 40

5.1 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება 40

5.2 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა 41

5.3 ერთდროულად გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა 42

ნაწილი 6 - არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები..... 44

6.1 არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულები..... 44

6.2 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არასრულწლოვანთა მიმართ..... 45

6.3 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა არასრულწლოვანთა მიმართ..... 46

6.4 ერთდროულად გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა არასრულწლოვანთა მიმართ..... 46

თავი III. სასამართლო სტატისტიკა ……..... 47

ნაწილი 7 - სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები..... 47

7.1 აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები 47

ნაწილი 8 - პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები 49

8.1 პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა 49

8.2 არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები 50

8.3 საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები 50

ნაწილი 9 - მსჯავრდებულები 50

9.1 მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით 50

9.2 მსჯავრდებულთა შემადგენლობა 51

9.3 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები 54

ნაწილი 10 - დანაშაული და შეფარდებული სასჯელები 56

10.1 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით 56

10.2 დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით 61

თავი IV. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სტატისტიკა ……..... 64

ნაწილი 11 - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი……..... 64

11.1 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში…..... 64

11.2 ბრალდებულები ……..... 65

11.3 არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები ……..... 66

11.4 მსჯავრდებულთა რაოდენობა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით ……..... 67

11.5 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა დადგენილ ლიმიტებთან შედარებით..... 68

11.6 უცხოელი ბრალდებულები და მსჯავრდებულები ……..... 69

11.7 პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა ……..... 70

11.8 რესოციალიზაცია ……..……..... 71

11.9 დისციპლინური ღონისძიებები …….....…… 72

11.10 სასჯელაღსრულების სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანილ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა ……..…..... 72

11.11 კრიმინოგენული მდგომარეობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში …….....……..…… 73

11.12 სამედიცინო მდგომარეობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში 75

ნაწილი 12 - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო …….....…….…… 82

12.1 პრობაციონერთა რაოდენობა …….....……..……... 82

12.2 პრობაციონერთა რაოდენობის მატება…….....…….……... 84

12.3 დასრულებული საქმეები …….....…… 86

12.4 საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე რეგიონულ ჭრილში …….....……. 87

12.5 პრობაციონერთა რესოციალიზაცია .....…….....……... 88

თავი I. პოლიციის სტატისტიკა

ნაწილი 1 - რეგისტრირებული დანაშაული

1.1 რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა

2011 წლის იანვრის თვეში რეგისტრირებულია 3295 დანაშაული. აქედან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე მოდის 5,2% (170 დანაშაული), მძიმეზე - 15,7% (519 დანაშაული), ხოლო ნაკლებად მძიმეზე - 79,1% (2606 დანაშული).

რეგისტრირებული დანაშაულები კატეგორიების მიხედვით
(2011 წლის იანვარი)



2011 წლის იანვარის თვეში 100 000 მოსახლეზე საქართველოში ჩადენილი დანაშაულის კოეფიციენტი შეადგენს 74,3[1].

2011 წლის იანვარში რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით ამგვარია: დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ - 7,4% (243), დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ - 10,2% (335), ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა - 0,03% (1), დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ - 0,5% (16), დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ - 2,7% (90), დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვანის წინააღმდეგ - 0,1% (3), დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ - 39,1% (1290), დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ - 0,2% (8), დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში - 0,6% (20), დანაშაული საფინანსო საქმიანობის

[1] გამოითვლება რეგისტრირებული დანაშაულის შეფარდებით მოსახლეობის რაოდენობაზე და მრავლდება 100 000-ზე. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში არის 4 436 400.

სფეროში - 1,8% (58), დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ - 0,03% (1), დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ - 7,3% (241), დანაშაული სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის წინააღმდეგ - 0,5% (17), დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ - 0,1% (4), ნარკოტიკული დანაშაული - 11,1% (366), სატრანსპორტო დანაშაული - 10,4% (341), დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ - 0,7% (22), დანაშაული ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევის წინააღმდეგ - 0,1% (2), სამოხელეო დანაშაული - 0,7% (22), დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ - 5,3% (175), დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ - 0,3% (9), დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ - 0,8% (26), დანაშაული დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ - 0,03% (1), დანაშაული სამხედრო ქონების შენახვის ან ექსპლუატაციის წესის წინააღმდეგ - 0,1% (4).

2011 წლის იანვრის თვეში რეგისტრირებული დანაშაულები



სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (7,4% სულ რეგისტრირებულ დანაშაულში) განზრახ მკვლელობაზე მოდის 6,6% (16 დანაშაული), მკვლელობის მცდელობაზე - 7,0% (17 დანაშაული), თვითმკვლელობამდე მიყვანის დანაშაულზე - 71,6% (174 დანაშაული), ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა მუხლებით კვალიფიცირებულ დანაშაულებზე 14,8% (36 დანაშაული).

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული
(2011 წლის იანვარი)



ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (10,2% სულ რეგისტრირებულ დანაშაულში) ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება არის 2,1% (7 დანაშაული), ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება - 61,5% (206 დანაშაული), ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა მუხლებით კვალიფიცირებულ დანაშაულებზე 36,4% (122 დანაშაული).

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული
(2011 წლის იანვარი)



სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (0,5% სულ რეგისტრირებულ დანაშაულში) გაუპატიურების მუხლით რეგისტრირებული იქნა 62,5% (10 დანაშაული), ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა დანაშაულთა რაოდენობამ შეადგინა 37,5% (6 დანაშაული).

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (2011 წლის იანვარი)



ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (2,7% სულ რეგისტრირებულ დანაშაულში) თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლით რეგისტრირებულმა დანაშაულმა შეადგინა - 40,0% (36 დანაშაული), მუქარის მუხლით - 42,2% (38 დანაშაული), ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა მუხლებით რეგისტრირებულმა დანაშაულებმა - 17,8% (16 დანაშაული).

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (2011 წლის იანვარი)



საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (39.1% სულ რეგისტრირებულ დანაშაულში) ქურდობაზე მოდის - 70,4% (908 დანაშაული) (ბინებიდან - 13,6% (123), ავტომობილების - 0,9% (8), პირუტყვის - 3,9% (35), მობილური ტელეფონების - 1,4% (13)), ძარცვაზე - 4,1% (53 დანაშაული), ყაჩაღობაზე - 1,9% (24 დანაშაული), თაღლითობაზე - 6,8% (87 დანაშაული), გამოძალვაზე - 0,2% (3 დანაშაული), ნივთის დაზიანებაზე - 11,5% (148 დანაშაული), ხოლო ამ თავით გათვალისწინებულ სხვა დანაშაულთა რაოდენობამ შეადგინა 5,2% (67 დანაშაული).

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული
(2011 წლის იანვარი)



საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (7,3% სულ რეგისტრირებულ დანაშაულში) ხულიგნობის მუხლით რეგისტრირებული იქნა 12,9% (31 დანაშაული); 21 წლის ასაკს მიუღწეველი, ან ნასამართლობის მქონე, ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ-სახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარების მუხლით - 31,1% (75 დანაშაული); ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების მუხლით - 54,0% (130 დანაშაული), ხოლო ამ თავით გათვალისწინებულ სხვა დანაშაულებმა შეადგინა 2,0% (5 დანაშაული).

საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ
მიმართული დანაშაული
(2011 წლის იანვარი)



ნარკოტიკული დანაშაულებიდან (11,1% სულ რეგისტრირებულ დანაშაულში) საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან

ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის მუხლით რეგისტრირებული იქნა 0,8% (3 დანაშაული), ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების მუხლით - 34,4% (126 დანაშაული), ნარკოტიკების შემცველ მცენარეთა უკანონო დათესვის მუხლით - 0,3% (1 დანაშაული), ნარკოტიკული ნივთიერებების განმეორებითი მოხმარების მუხლით - 64,5% (236 დანაშაული).

ნარკოტიკული დანაშაული
(2011 წლის იანვარი)



სატრანსპორტო დანაშაულებიდან (10,4% სულ რეგისტრირებულ დანაშაულში) ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის მუხლით რეგისტრირებული იქნა - 99,7% (340 დანაშაული), ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა დანაშაულები - 0,3% (1 დანაშაული).

სატრანსპორტო დანაშაული
(2011 წლის იანვარი)



სამოხელეო დანაშაულებიდან (0,7% სულ რეგისტრირებულ დანაშაულში) სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით რეგისტრირებული იქნა 22,7% (5 დანაშაული), სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით - 40,9% (9 დანაშაული), სამსახურებრივი გულგრილობის მუხლით - 9,1% (2 დანაშაული), სამსახურებრივი სიყალბის მუხლით - 4,6% (1 დანაშაული), ქრთამის აღების მუხლით - 9,1% (2 დანაშაული), ქრთამის მიცემის მუხლით - 13,6% (3 დანაშაული).



მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (5,3% სულ რეგისტრირებულ დანაშაულში) ყალბი დოკუმენტების დამზადების მუხლით რეგისტრირებულია 79,4% (139 დანაშაული), ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა დანაშაულები - 20,6% (36 დანაშაული).



1.2 კვალიფიკაციის შეცვლა

2011 წლის იანვარის თვეში რეგისტრირებული დანაშაულიდან კვალიფიკაცია შეეცვალა 60 დანაშაულს (1,8% სულ რეგისტრირებულ დანაშაულში). აქედან გადაკვალიფიცირება მოხდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის - 15,0% (9 დანაშაული), მძიმე კატეგორიის - 10,0% (6 დანაშაული) და ნაკლებად მძიმე კატეგორიის - 75,0% (45 დანაშაული).

გადაკვალიფიცირებული დანაშაულები კატეგორიების მიხედვით
(2011 წლის იანვარი)



სულ რეგისტრირებული დანაშაულებიდან გადაკვალიფიცირდა: სიცოცხლის წინააღმდეგ - 8,3% (5 დანაშაული), ჯანმრთელობის წინააღმდეგ - 43,3% (26 დანაშაული), ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინაღმდეგ - 1,7% (1 დანაშაული), ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ - 1,7% (1 დანაშაული), საკუთრების წინააღმდეგ - 26,7% (16 დანაშაული), დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ - 1,7% (1 დანაშაული), ნარკოტიკული დანაშაული - 5,0% (3 დანაშაული), სატრანსპორტო დანაშაული - 1,7% (1 დანაშაული), სამოხელეო დანაშაული - 3,3% (2 დანაშაული), მმართველობის წესის წინააღმდეგ - 6,6% (4 დანაშაული).

2011 წლის იანვრის თვეში რეგისტრირებულ დანაშაულთა
გადაკვალიფიცირება



სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან სხვა მუხლზე გადაკვალიფიცირდა განზრახ მკვლელობის მუხლით - 40% (2 დანაშაული), ხოლო მკვლელობის მცდელობის მუხლით - 60% (3 დანაშაული).

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა
(2011 წლის იანვარი)



ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან სხვა მუხლზე გადაკვალიფიცირდა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით - 3,9% (1 დანაშაული), ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების მუხლით - 80,7% (21 დანაშაული), ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა მუხლებით - 15,4% (4 დანაშაული).

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა
(2011 წლის იანვარი)



ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან სხვა მუხლზე გადაკვალიფიცირდა თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლით - 100% (1 დანაშაული).

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან კვალიფიკაცია შეეცვალა ქურდობის მუხლით რეგისტრირებულ 31,3% (5 დანაშაულს), ძარცვის მუხლით - 18,7% (3 დანაშაულს), ყაჩაღობის მუხლით - 18,7% (3 დანაშაულს), თაღლითობის მუხლით - 18,7% (3 დანაშაულს), ნივთის დაზიანების მუხლით - 12,6% (2 დანაშაულს).

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა
(2011 წლის იანვარი)



საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან სხვა მუხლზე გადაკვალიფიცირდა ხულიგნობის მუხლით - 100% (1 დანაშაული).

ნარკოტიკული დანაშაულებიდან კვალიფიკაცია შეეცვალა ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების მუხლით რეგისტრირებულ - 100% (3 დანაშაულს).

სატრანსპორტო დანაშაულებიდან კვალიფიკაცია შეეცვალა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის უსაფრთხოების მუხლით რეგისტრირებულ - 100% (1 დანაშაულს).

სამოხელეო დანაშაულებიდან კვალიფიკაცია შეეცვალა ქრთამის აღების მუხლით რეგისტრირებულ - 50% (1 დანაშაულს), ხოლო ქრთამის მიცემის მუხლით რეგისტრირებულ 50% (1 დანაშაულს).

სამოხელეო დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა
(2011 წლის იანვარი)



მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან კვალიფიკაცია შეეცვალა ყალბი დოკუმენტების დამზადების მუხლით რეგისტრირებულ - 50% (2 დანაშაულს), ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა მუხლებით რეგისტრირებულ - 50% (2 დანაშაულს).

მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა
(2011 წლის იანვარი)



1.3 გამოძიების შეწყვეტა რეგისტრირებული დანაშაულების მიხედვით

2011 წლის იანვრის თვეში გამოძიება შეწყდა 931 დანაშაულზე (მათ შორის, 424 დანაშაული რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში, რაც შეადგენს სულ დანაშაულის 12,9%.) მათ შორის შეწყდა 1,4% (13) - განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, (მათ შორის 1,4% (6) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), 13,1% (122) - მძიმე დანაშაული (მათ შორის 6,4% (27) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ხოლო ნაკლებად მძიმე - 85,5% (796 დანაშაული) (მათ შორის 92,2% (391) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში).

შეწყვეტილი დანაშაულები კატეგორიების მიხედვით
(2011 წლის იანვარი)



რეგისტრირებული დანაშაულებიდან შეწყდა სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული - 7,5% (70 დანაშაული), ჯანმრთელობის წინააღმდეგ - 18,6% (173 დანაშაული), სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ - 0,4% (4 დანაშაული), ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული - 5,6% (52 დანაშაული), საკუთრების წინააღმდეგ მიმართული - 27,3% (254 დანაშაული), სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ - 0,4% (4 დანაშაული), ფულად-საკრედიტო სისტემის წინააღმდეგ მიმართული - 0,5% (5 დანაშაული), საფინანსო საქმიანობის სფეროს წინააღმდეგ მიმართული - 3,0% (28 დანაშაული), სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული - 0,1% (1 დანაშაული), საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული - 6,7% (62 დანაშაული), სამუშაოს წარმოებისას

უსაფრთხოების წესის დარღვევის წინააღმდეგ მიმართული - 0,5% (5 დანაშაული), 2,0% (18) - ნარკოტიკული, 21,5% (200) - სატრანსპორტო, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ მიმართული - 0,2% (2 დანაშაული), 0,4 (4) - სამოხელეო, მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული - 4,9% (45 დანაშაული), სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ - 0,2% (2), დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ - 0,1% (1 დანაშაული), სამხედრო ქონების შენახვის ან ექსპლუატაციის წესის წინააღმდეგ - 0,1% (1 დანაშაული).



სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (70 შეწყვეტილი დანაშაულიდან 10,9% (46) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში). 2,9% (2 დანაშაული) შეწყდა განზრახ მკვლელობის მუხლით, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებების მუხლით - 1,4% (1 დანაშაული), მკვლელობის მცდელობის მუხლით - 1,4% (1 დანაშაული) (მათ შორის 2,2% (1) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), თვითმკვლელობამდე მიყვანით - 80,0% (56 დანაშაული) (მათ შორის 95,6% (44) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა მუხლებით კვალიფიცირებული 14,3% (10 დანაშაული) (მათ შორის 2,2% (1) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში).



ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულიდან (სულ შეწყვეტილი 173 დანაშაულიდან 21,0% (89) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების მუხლით - 67,6% (117 დანაშაული) (მათ შორის 56,2% (50) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ხოლო 32,4% (56 დანაშაული) (მათ შორის 43,8% (39) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში) ამ თავით გათვალისწინებული სხვა მუხლებით კვალიფიცირებული დანაშაული.



სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულიდან (სულ შეწყვეტილი 4 დანაშაულიდან 0,9% (4) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), გაუპატიურების მუხლით შეწყდა 25,0% (1 დანაშაული) (მათ შორის 25,0% (1) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა მუხლებით - 75,0% (3 დანაშაული) (მათ შორის 75% (3) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში).

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა (2011 წლის იანვარი)



ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (სულ შეწყვეტილი 52 დანაშაულიდან 10,1% (43) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში) თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლით შეწყდა 48,0% (25 დანაშაული) (მათ შორის 51,2% (22) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), მძევლად ხელში ჩაგდების მუხლით - 5,8% (3), მუქარის მუხლით - 32,7% (17 დანაშაული) (მათ შორის 37,2% (16) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა მუხლებით - 13,5% (7 დანაშაული) (მათ შორის 11,6% (5) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში).

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (2011 წლის იანვარი)



საკუთრების წინააღმდეგ მიმართული რეგისტრირებული დანაშაულიდან (სულ შეწყვეტილი 254 დანაშაულიდან 27,1% (115) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში). გამოძიება შეწყვეტილია 50,4% (128) ქურდობაზე (მათ შორის 50,4% (58) რეგისტრირებული საანგარიშო პერიოდში), მათ შორის შეწყვეტილია გამოძიება ბინებიდან ქურდობის - 5,5% (7), ავტომობილების ქურდობის - 1,6% (2), პირუტყვის ქურდობის - 3,9% (5), მობილური ტელეფონების ქურდობის - 0,8% (1) დანაშაულზე), ძარცვის - 1,9% (5) (მათ შორის 2,6% (3) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ყაჩაღობის - 0,4% (1), თაღლითობის - 17,3% (44) (მათ შორის 3,5% (4) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), გამოძალვის მუხლით - 0,4% (1) (მათ შორის 0,9% (1) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ნივთის დაზიანების მუხლით - 21,3% (54) (მათ შორის 33,9% (39) რეგისტრირებულია საანგარიშო

პერიოდში) და ამ თავით გათვალისწინებულ სხვა მუხლებით რეგისტრირებულ 8,3% (21) დანაშაულზე (მათ შორის 8,7% (10) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში).

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული
(2011 წლის იანვარი)



საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული (სულ შეწყვეტილი 62 დანაშაულიდან 12,0% (51) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში) დანაშაულებიდან ხულიგნობის მუხლით შეწყდა 6,5% (4 დანაშაულზე) (მათ შორის 1,9% (1) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), 21 წლის ასაკს მიუღწეველი, ან ნასამართლეობის მქონე, ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ-სახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარების - 9,7% (6 დანაშაული) (მათ შორის 11,8% (6) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების მუხლით - 80,6% (50 დანაშაულზე) (მათ შორის 82,4% (42) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ხოლო ამ თავით გათვალისწინებულ სხვა მუხლებით რეგისტრირებულ 3,2% (2 დანაშაულზე) (მათ შორის 3,9% (2) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში).

საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ
მიმართული დანაშაული
(2011 წლის იანვარი)



სულ შეწყვეტილი 18 **ნარკოტიკული დანაშაულიდან** 10 (2,4%) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში. ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების მუხლით შეწყდა - 33,3% (6 დანაშაული) (მათ შორის 50,0% (5) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ნარკოტიკული ნივთიერებების განმეორებითი მოხმარების მუხლით - 66,7% (12 დანაშაული) (მათ შორის 50,0% (5) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში).

ნარკოტიკული დანაშაული
(2011 წლის იანვარი)



სატრანსპორტო დანაშაულიდან (სულ შეწყვეტილი 200 დანაშაულიდან 7,1% (30) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში). ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოება ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის მუხლით შეწყდა 99,5% (199 დანაშაული) (მათ შორის 96,7% (29) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ხოლო ამ თავით გათვალისწინებულ სხვა მუხლებით რეგისტრირებულ 0,5% (1 დანაშაულზე) (მათ შორის 33,3% (1) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში).

სატრანსპორტო დანაშაული
(2011 წლის იანვარი)



სამოხელეო დანაშაულებიდან (სულ შეწყვეტილია 4 დანაშაული). სამსახურებრივი გულგრილობის მუხლით - 75,0% (3 დანაშაული), ხოლო ქრთამის აღების მუხლით - 25% (1 დანაშაული).

სამოხელეო დანაშაული
(2011 წლის იანვარი)



მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (სულ შეწყვეტილი 45 დანაშაულიდან 7,1% (30) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში) ყალბი დოკუმენტების დამზადების მუხლით შეწყდა 88,9% (40 დანაშაული), (მათ შორის 93,3% (28) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში), ხოლო ამ თავით გათვალისწინებული სხვა მუხლებით - 11,1% (5 დანაშაული) (მათ შორის 6,7% (2) რეგისტრირებულია საანგარიშო პერიოდში).

მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული
(2011 წლის იანვარი)



რეგისტრირებულ დანაშაულთა საერთო რაოდენობის აღრიცხვა, მათი გადაკვალიფიცირება და შეწყვეტა იხილეთ დანართის № 1 ცხრილში.

1.4 ოჯახში ძალადობა

ოჯახური ძალადობის ფაქტების სტატისტიკური აღრიცხვა ხდება გამოცემული შემაკავებელი ორდერების შესაბამისად საქართველოს შს მინისტრის 2007 წლის 26 დეკემბრის №1630 და 2010 წლის 24 მარტის №333 ბრძანებების საფუძველზე (ფორმა №7ა). ბრძანებით განსაზღვრულმა უფლებამოსილმა პირებმა უნდა უზრუნველყონ შემაკავებელი ორდერების ბაზაზე შესაბამისი "ოჯახური ძალადობის ფაქტის აღრიცხვის ბარათის" ფორმების შედგენა და ერთიანი აღრიცხვის მიზნით შსს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოში წარმოდგენა. აღნიშნულ ფორმაში მითითებულია ოჯახურ ძალადობაში მონაწილე პირთა (მსხვერპლი/მოძალადე) დემოგრაფიული მონაცემები, სქესი, ასაკი, ნათესაური კავშირი, მომხდარი ფაქტის შინაარსი და ძალადობის სახეები. აღრიცხული მონაცემების საფუძველზე ტარდება მისი ანალიზი და მზადდება სტატისტიკური ანგარიშები. სტატისტიკის დათვლა ხდება რეგიონების მიხედვით და მთლიანად საქართველოში.

2011 წლის იანვრის თვის განმავლობაში სულ რეგისტრირებულია ოჯახური ძალადობის 16 ფაქტი. აქედან მსხვერპლი: მამრობითი არის - 18,75% (3 პირი), მდედრობითი - 81,25% (13 პირი). მოძალადე: მამრობითი არის - 93,75% (15 პირი), მდედრობითი - 6,25% (1 პირი).

2011 წლის იანვრის თვეში ოჯახური ძალადობის ფაქტები მოცემულია შემდეგი ძალადობის სახეების მიხედვით: ფიზიკური, ფსიქოლოგიური - 5 ფაქტი; ფსიქოლოგიური - 1 ფაქტი; ფიზიკური - 2 ფაქტი; ფსიქოლოგიური, ეკონომიური - 1 ფაქტი; ფიზიკური, სიტყვიერი შეურაცხყოფა - 6 ფაქტი; ფსიქოლოგიური, სიტყვიერი - 1 ფაქტი.

(იხ. დანართი ცხრილი №3,4).

ნაწილი 2 - ადმინისტრაციული სამართალდარღვევები

2.1 რეგისტრირებული სამართალდარღვევები

2011 წლის იანვრის თვეში რეგისტრირებულია 68382 სამართალდარღვევა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები გავრცელებული სახეობების მიხედვით ამდაგვარია: საგზაო უსაფრთხოების წესების დარღვევის ხაზით - 96,46% (65959 ფაქტი), გარემოს დაცვის სფეროში - 0,13% (92 ფაქტი), საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში - 0,62% (422 ფაქტი), საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ხაზით - 0,01% (39 ფაქტი), ვაჭრობისა და ფინანსების დარგში - 0,004% (3 ფაქტი), მმართველობის დადგენილი წესის დარღვევა - 1,03% (706 ფაქტი), ნარკოტიკების უკანონო მოხმარება-შენახვა - 0,93% (639 ფაქტი) და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სხვა დანარჩენი სამართალდარღვევები - 0,76% (522 ფაქტი).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები სახეების მიხედვით
(2011 წლის იანვარი)



საგზაო უსაფრთხოების წესების დარღვევის ხაზით სულ რეგისტრირებულია - 65959 ფაქტი. მათ შორის: არაფხიზელ მდგომარეობაში ა/მანქანის მართვა - 0,49% (326 ფაქტი), ტვირთამწეობის დადგენილი ნორმის ზევით ტვირთის გადაზიდვა - 0,41% (268 ფაქტი), საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა - 56,72% (37412 ფაქტი) და სხვა დანარჩენი - 42,38% (27953 ფაქტი).

გარემოს დაცვის სფეროში სულ რეგისტრირებულია - 92 ფაქტი. მათ შორის: ხე-ტყის უკანონო ჭრა - 55,43% (51 ფაქტი), წიაღით სარგებლობა ლიცენზიის გარეშე ან ლიცენზიის პირობების დარღვევით - 7,61% (7 ფაქტი), უკანონო თევზჭერა და ნადირობა - 2,13% (2 ფაქტი), სხვა დანარჩენი - 34,78% (32 ფაქტი).

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში სულ რეგისტრირებულია - 422 ფაქტი. მათ შორის: წვრილმანი ხულიგნობა - 99,76% (421 ფაქტი), ნასვამ მდგომარეობაში - 0,24% (1 ფაქტი).

საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ხაზით სულ რეგისტრირებულია - 39 ფაქტი. მათ შორის: რეგისტრაციის წესების დარღვევა - 51,28% (20 ფაქტი), პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დაკარგვა ან დაზიანება - 48,72% (19 ფაქტი).

ვაჭრობისა და ფინანსების დარგში სულ რეგისტრირებულია - 3 ფაქტი. მათ შორის: სამეწარმეო საქმიანობის წესის დარღვევის - 33,33% (1 ფაქტი) და სხვა დანარჩენი - 66,67% (2 ფაქტი).

მმართველობის დადგენილი წესის დარღვევა სულ რეგისტრირებულია - 706 ფაქტი. მათ შორის: სამართალდამცავი მუშაკისადმი დაუმორჩილებლობა - 84,99% (600 ფაქტი), იარაღზე რეგისტრაციის წესის

დარღვევა - 9,49% (67 ფაქტი) და შავი და ფერადი ლითონებით ვაჭრობის დადგენილი წესის დარღვევა - 5,24% (37 ფაქტი) და სხვა დანარჩენი - 0,28% (2 ფაქტი).

ნარკოტიკების უკანონო მოხმარება-შენახვა სულ რეგისტრირებულია - 639 ფაქტი. მათ შორის: სატრანსპორტო საშუალების მართვა ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში - 0,63 (4 ფაქტი) და სხვა დანარჩენი - 99,37 (635 ფაქტი).

რეგისტრირებულ სამართალდარღვევათა შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართის სახით (იხ. ცხრილი № 2).

ნაწილი 3 - დაზარალებული პირები

3.1 დაზარალებულ პირთა რაოდენობა

დაზარალებულ პირთა აღრიცხვა ხდება „დანაშაულის ერთიანი აღრიცხვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შს მინისტრის 2005 წლის 28 აპრილის №423 ბრძანების თანახმად. დაზარალებულ პირთა მონაცემების აღრიცხვა ხდება ფორმა №7 საფუძველზე, სადაც მითითებულია დაზარალებულ პირთა დემოგრაფიული მონაცემები, სქესი, ასაკი, მოქალაქეობა. ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სტატუსი, დასახელება და მიყენებული ზარალის სახეობა. აღრიცხული მონაცემების საფუძველზე ტარდება მისი ანალიზი და მზადდება სტატისტიკური ანგარიშები. სტატისტიკის დათვლა ხდება როგორც რეგიონების, ასევე მთლიანად საქართველოს მასშტაბით.

2011 წლის იანვრის თვის განმავლობაში სულ დაფიქსირებულია 364 დაზარალებული პირი. მათ შორის მამრობითი - 70,60% (257 პირი), მდედრობითი - 29,40% (107 პირი). გარდა ამისა, 2011 წლის იანვრის თვეში დაზარალებულად დაფიქსირებულია 4 იურიდიული პირი.

დაზარალებული პირთა მონაცემები სქესის მიხედვით
(2011 წლის იანვარი)



დაზარალებული პირებიდან საქართველოს მოქალაქე არის 97,25% (354 პირი), ხოლო უცხოელი - 2,75% (10 პირი).

დაზარალებულ პირთა მონაცემები მოქალაქეობის მიხედვით
(2011 წლის იანვარი)



დაზარალებულ პირთა შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართის სახით (იხ. ცხრილი № 5)

თავი II. პროკურატურის სტატისტიკა[2]

ნაწილი IV - სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლები სსკ-ის მუხლების მიხედვით

4.1 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი

2011 წლის იანვარში საქართველოში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი[3] (პირთა რაოდენობის მიხედვით) დანაშაულთა კატეგორიებზე შემდეგნაირია: განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 185 პირის მიმართ, მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 369 პირის მიმართ, ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე 884 პირის მიმართ.



საანგარიშო პერიოდში იმ პირთა რაოდენობა, ვის მიმართაც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, დანაშაულთა ჯგუფებიდან ყველაზე მაღალი იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (483 პირი), შემდეგ ნარკოდანაშაულებზე (359 პირი)(იხ, დანართი ცხრილი #6).

[2] ანგარიშის ეს ნაწილი მომზადებულია მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს მიერ.

[3] თუ ერთ პირს ჩადენილი აქვს რამდენიმე კატეგორიის დანაშაული, მაშინ ეს პირი ფიქსირდება ყველა კატეგორიაზე, ამიტომ დანაშაულთა კატეგორიების ჯამი არ დაემთხვევა სულ დევნის დაწყების მაჩვენებელს.

დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით
(2011 წლის იანვარი)



2011 წლის იანვარში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ით გათვალისწინებულ დანაშაულთა სხვა ჯგუფებში არ დაფიქსირებულა.

დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულთა ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგნაირია:

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან დევნის დაწყების მაჩვენებელი დაფიქსირდა განზრახ მკვლელობის მცდელობის (19 პირი), განზრახ მკვლელობის (8 პირი) და დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის (2 პირი) დანაშაულებზე.

დევნის დაწყების მაჩვენებელი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2011 წლის იანვარი)



ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან დევნის დაწყების მაჩვენებელი დაფიქსირდა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების (5 პირის მიმართ) და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების (3 პირის მიმართ) დანაშაულებზე.

დევნის დაწყების მაჩვენებელი ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2011 წლის იანვარი)

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან თავისუფლების უკანონო აღკვეთის დანაშაულზე დევნა დაიწყო 2 პირის მიმართ.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან დევნის დაწყების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო ქურდობის (317 პირი) და თაღლითობის (74 პირი) დანაშაულებზე.

დევნის დაწყების მაჩვენებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2011 წლის იანვარი)



საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე დევნის დაწყების მაჩვენებლები შემდეგნაირია: ხულიგნობის დანაშაულზე დევნა დაიწყო 82 პირის მიმართ, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების დანაშაულზე - 80 პირის მიმართ, ხოლო 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარების დანაშაულზე დევნა დაიწყო 61 პირის მიმართ.

დევნის დაწყების მაჩვენებელი საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ
მიმართულ დანაშაულებზე
(2011 წლის იანვარი)

ნარკოტიკული დანაშაულებიდან დევნის დაწყების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო ისეთ დანაშაულებზე, როგორიცაა: პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება (დევნა დაიწყო 205 პირის მიმართ) და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (დევნა დაიწყო 147 პირის მიმართ).

დევნის დაწყების მაჩვენებელი ნარკოტიკულ დანაშაულებზე
(2011 წლის იანვარი)



სატრანსპორტო დანაშაულებიდან ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების, ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 56 პირის მიმართ.

სამოხელეო დანაშაულებზე დევნის დაწყების მაჩვენებელი შემდეგნაირია: სამსახურებრივი სიყალბის დანაშაულზე დევნა დაიწყო 16 პირის მიმართ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების დანაშაულზე - 8 პირის მიმართ, სამსახურებრივი გულგრილობის დანაშაულზე - 5 პირის მიმართ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების დანაშაულზე - 5 პირის მიმართ, ქრთამის აღების დანაშაულზე - 4 პირის მიმართ, ხოლო ქრთამის მიცემის დანაშაულზე - 2 პირის მიმართ.

დევნის დაწყების მაჩვენებელი სამოხელეო დანაშაულებზე
(2011 წლის იანვარი)



მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის, ან ბლანკის დამზადება, გასაღება, ან გამოყენების დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 61 პირის მიმართ.

4.2 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

საანგარიშო პერიოდში დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი შემდეგნაირია: განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 21 პირის მიმართ, მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 7 პირის მიმართ, ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 20 პირის მიმართ.



დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო: ნარკოტიკულ და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (დევნა შეწყდა 18-18 პირის მიმართ) (იხ. დანართი ცხრილი #6).



სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებლები სსკ-ით გათვალისწინებულ დანაშაულთა სხვა ჯგუფებში არ დაფიქსირებულა.

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დანაშაულთა ცალკეული სახეების მიხედვით ამგვარია:

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დაფიქსირდა განზრახ მკვლელობის და განზრახ მკვლელობის მცდელობის დანაშაულებზე (თითო პირის მიმართ).

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დაფიქსირდა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების დანაშაულზე 1 პირის მიმართ.

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დაფიქსირდა გაუპატიურების დანაშაულზე 1 პირის მიმართ.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან დევნა შეწყდა ქურდობის დანაშაულზე - 8 პირის მიმართ, ნივთის დაზიანება ან განადგურების დანაშაულზე -3 პირის მიმართ, ყაჩაღობის დანაშაულზე - 2 პირის მიმართ, ხოლო თაღლითობის და ძარცვის დანაშაულებზე - თითო პირის მიმართ.

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2011 წლის იანვარი)



საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების დანაშაულზე 1 პირის მიმართ.

ნარკოტიკული დანაშაულებიდან სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღების დანაშაულზე - **14** პირის მიმართ, პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარების დანაშაულზე - 3 პირის მიმართ და საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა-გატანა ან ტრანზიტით უკანონოდ გადაზიდვის დანაშაულებზე - 1 პირის მიმართ.

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი ნარკოტიკულ დანაშაულებზე
(2011 წლის იანვარი)



სატრანსპორტო დანაშაულებიდან სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის დანაშაულზე 1 პირის მიმართ.

4.3 გამოძიებისა და დევნის ერთდროულად შეწყვეტა

საქართველოს მასშტაბით 2011 წლის იანვარში გამოძიება და დევნა ერთდროულად შეწყდა 35 დანაშაულზე, აქედან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის იყო 18 დანაშაული (საერთო რაოდენობის 51,4%), მძიმე კატეგორიის - 6 დანაშაული (17,1%), ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის - 11 დანაშაული (31,4%).

გამოძიების და დევნის ერთდროულად შეწყვეტის მაჩვენებელი დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით (2011 წლის იანვარი)



დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით გამოძიების და დევნის ერთდროულად შეწყვეტის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო ნარკოტიკულ დანაშაულებზე (შეწყდა დანაშაულის 17 ფაქტზე), შემდეგ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (13 ფაქტზე). (იხ. დანართი, ცხრილი #6).

გამოძიების და დევნის ერთდროულად შეწყვეტის მაჩვენებელი დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით (2011 წლის იანვარი)



2011 წლის იანვარში გამოძიებისა და დევნის ერთდროულად შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ით გათვალისწინებულ დანაშაულთა სხვა ჯგუფებზე არ დაფიქსირებულა.

დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით კონკრეტულ დანაშაულებზე გამოძიებისა და დევნის ერთდროულად შეწყვეტის მაჩვენებლები შემდეგნაირია:

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან გამოძიებისა და დევნის ერთდროულად შეწყვეტის მაჩვენებელი დაფიქსირდა განზრახ მკვლელობის და განზრახ მკვლელობის მცდელობის თითო-თითო ფაქტზე.

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან გამოძიებისა და დევნის ერთდროულად შეწყვეტის მაჩვენებელი დაფიქსირდა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების 1 ფაქტზე.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან გამოძიება და დევნა ერთდროულად შეწყდა ქურდობის 5 ფაქტზე, ნივთის დაზიანება ან განადგურების 3 ფაქტზე და თაღლითობის 2 ფაქტზე.

გამოძიების და დევნის ერთდროულად შეწყვეტის მაჩვენებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2011 წლის იანვარი)



ნარკოტიკული დანაშაულებიდან გამოძიება და დევნა ერთდროულად შეწყდა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღების 13 ფაქტზე, პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარების 3 ფაქტზე და საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა-გატანა ან ტრანზიტით უკანონოდ გადაზიდვის 1 ფაქტზე.

გამოძიების და დევნის ერთდროულად შეწყვეტის მაჩვენებელი ნარკოტიკულ დანაშაულებზე
(2011 წლის იანვარი)



4.4 სასამართლოში წარმართვა

დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით იმ პირთა რაოდენობა ვის მიმართაც საქმე წარიმართა სასამართლოში შემდეგნაირია: განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე წარიმართა 227 პირის მიმართ, მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 486 პირის მიმართ, ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 822 პირის მიმართ.

სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით
(2011 წლის იანვარი)



დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით იმ პირთა რაოდენობა ვის მიმართაც საქმე წარიმართა სასამართლოში ყველაზე მაღალი იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (535 პირის მიმართ), შემდეგ ნარკოდანაშაულებზე (311 პირის მიმართ) და საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (181 პირის მიმართ) (იხ. დანართი, ცხრილი #6).

სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით (2011 წლის იანვარი)



სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან სასამართლოში საქმის წარმართვის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო განზრახ მკვლელობის მცდელობის დანაშაულზე (10 პირის მიმართ):

სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2011 წლის იანვარი)



ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან საქმე სასამართლოში წარიმართა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების დანაშაულზე 9 პირის მიმართ და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების დანაშაულზე 7 პირის მიმართ.

სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2011 წლის იანვარი)

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან გაუპატიურების დანაშაულზე საქმე სასამართლოში წარიმართა 2 პირის მიმართ.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან საქმე სასამართლოში წარიმართა თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის დანაშაულზე 14 პირის მიმართ.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან იმ პირთა რაოდენობა ვის მიმართაც საქმე სასამართლოში წარიმართა ყველაზე მაღალი იყო ქურდობის დანაშაულზე (წარიმართა 352 პირის მიმართ), შემდეგ თაღლითობაზე (წარიმართა 62 პირის მიმართ):

სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2011 წლის იანვარი)



საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი შემდეგნაირია: ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების დანაშაულზე საქმე სასამართლოში წარიმართა 65 პირის მიმართ, 21 წლის ასაკს მიუღწეველი, ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარების დანაშაულზე წარიმართა 54 პირის მიმართ, ხოლო ხულიგნობის დანაშაულზე - 51 პირის მიმართ.

სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ
(2011 წლის იანვარი)

ნარკოტიკული დანაშაულებიდან პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონოდ დამზადება, შეძენა, შენახვა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარების დანაშაულზე საქმე სასამართლოში წარიმართა 164 პირის მიმართ, ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღების დანაშაულზე - 141 პირის მიმართ, ხოლო საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო შემოტანა-გატანის ან ტრანზიტით უკანონოდ გადაზიდვის დანაშაულზე საქმე სასამართლოში წარიმართა 3 პირის მიმართ.

სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი ნარკოტიკულ დანაშაულებზე
(2011 წლის იანვარი)



სატრანსპორტო დანაშაულებიდან ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების, ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის დანაშაულზე საქმე სასამართლოში წარიმართა 62 პირის მიმართ.

სამოხელეო დანაშაულებზე სასამართლოში წარმართვის მაჩვენებლები შემდეგნაირია: ქრთამის მიცემის დანაშაულზე საქმე სასამართლოში წარიმართა 18 პირის მიმართ, ქრთამის აღების დანაშაულზე - 13 პირის მიმართ, სამსახურებრივი სიყალბის დანაშაულზე - 12 პირის მიმართ, სამსახურებრივი გულგრილობის დანაშაულზე - 7 პირის მიმართ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების დანაშაულზე - 5 პირის მიმართ და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების დანაშაულზე - 3 პირის მიმართ.

სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი სამოხელეო დანაშაულებზე
(2011 წლის იანვარი)



მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის, ან ბლანკის დამზადება, გასაღება, გამოყენების დანაშაულზე საქმე სასამართლოში წარიმართა 82 პირის მიმართ.

5.1 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება

2011 წლის იანვარში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1360 პირის მიმართ. აქედან 6,4%-მა (87 პირი) დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის გასვლამდე (იხ. დანართი ცხრილი №7).

2011 წლის იანვრის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლები რეგიონებისა და მთავარი პროკურატურის დეპარტამენტების მიხედვით ამგვარია:



2011 წლის იანვარში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა ***თბილისში (489 პირი)*** და შეადგინა სულ დევნის დაწყების 36%, ხოლო ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი აღინიშნა ***სამეგრელო-ზემო სვანეთში (58 პირი)*** და შეადგინა სულ დაწყებული დევნის 4,3% (იხ. დანართი ცხრილი №8;9) .

5.2 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

2010 წლის იანვრის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 18 პირის მიმართ. აქედან სსკ-ის 105-ე მუხლის I ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტით სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 14 პირის მიმართ (77,8%), სსკ-ის 105-ე მუხლის III ნაწილით - 1 პირის მიმართ (5,6%), ხანდაზმულობით - 1 პირის მიმართ (5,6%), ხოლო სხვა საფუძვლით - 2 პირის მიმართ (11,1%) (იხ. დანართი ცხრილი №7).

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა
(2011 წლის იანვარი)



სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა ***თბილისში (10 პირი)*** და შეადგინა სულ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის 55,6%.



სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არ დაფიქსირებულა დანარჩენ რეგიონებსა და მთავარი პროკურატურის დეპარტამენტებში (იხ. დანართი ცხრილი №8; 9).

5.3 ერთდროულად გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

2011 წლის იანვარში ერთდროულად გამოძიება და დევნა შეწყდა 33 საქმეზე 34 პირის მიმართ. აქედან სსკ-ის 105-ე მუხლის I ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით შეწყდა 26 საქმე 27 პირის მიმართ, ხოლო სხვა საფუძვლით - 7 საქმე 7 პირის მიმართ (იხ. დანართი ცხრილი №7).



ერთდროულად გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებლები რეგიონებისა და მთავარი პროკურატურის დეპარტამენტების მონაცემების მიხედვით ამგვარია:



შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონსა და მთავარი პროკურატურის დეპარტამენტებში ერთდროულად გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებლები არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი ცხრილი №8;9).

ნაწილი VI - არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები.

6.1 არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულები

2011 წლის იანვარში სულ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი იყო 45 დანაშაული. აქედან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე მოდის 9% (4 დანაშაული), მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 41% (19 დანაშაული), ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 50% (22 დანაშაული).

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები კატეგორიების მიხედვით (2011 წლის იანვარი)



არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან ყველაზე ხშირია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (სულ ჩადენილია 26 დანაშაული, რაც არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საერთო რაოდენობის 57,8%-ია), შემდეგ საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (12 დანაშაული, საერთო რაოდენობის 26,7%;). (იხ. დანართი ცხრილი #6).

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით
(2011 წლის იანვარი)



6.2 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არასრულწლოვანთა მიმართ

2011 წლის იანვარში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 36 არასრულწლოვანის მიმართ აქედან 5,6% -მა (2 პირი) დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის გასვლამდე (იხ. დანართი ცხრილი №7).

2011 წლის იანვრის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა ***თბილისში*** (13 პირი) და შეადგინა 36,1% სულ დევნის დაწყებაში. ***ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებსა და მთავარი პროკურატურის დეპარტამენტებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლები არასრულწლოვანთა მიმართ არ დაფიქსირებულა*** (იხ. დანართი ცხრილი №8;9).



6.3 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა არასრულწლოვანთა მიმართ

2011 წლის იანვარში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი ცხრილი №7).

6.4 ერთდროულად გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა არასრულწლოვანთა მიმართ

2011 წლის იანვარში ერთდროულად გამოძიება და დევნა შეწყდა 1 საქმეზე 1 არასრულწლოვანის მიმართ (იხ. დანართი ცხილი №7).

ერთდროულად გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ დაფიქსირდა ***მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში*** (იხ. დანართი ცხრილი №8;9).

თავი III. სასამართლო სტატისტიკა

ნაწილი 7 - სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

7.1 აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები

2011 წლის იანვარში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულია საგამოძიებო ორგანოებიდან აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებაზე შემოსული 1226 შუამდგომლობა. განხილული შუამდგომლობებიდან დაპატიმრების ხვედრითი წილი შეადგენს 47,3%-ს, გირაოს ხვედრითი წილი - 52,6%-ს, პირობითი მსჯავრის ხვედრითი წილი 0,1%-ს (იხ. დანართი ცხრილი №10).

განხილული შუამდგომლობები



სულ განხილული შუამდგომლობიდან სასამართლოს მიერ *დაკმაყოფილებულ იქნა* 1013 შუამდგომლობა, ანუ 82,6%. მათ შორის: დაპატიმრების შეფარდებაზე განხილული შუამდგომლობებიდან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 94,0%, გირაოს შეფარდებაზე დაკმაყოფილებულ იქნა 72,4%.

საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული შუამდგომლობებიდან *უარი ეთქვა* მოცემული შუამდგომლობის შეფარდებაზე და შეეფარდა სხვა აღკვეთის ღონისძიება 3 შუამდგომლობას, ანუ 0,2%-ს;

დატოვებულია განუხილველად საპროცესო შეთანხმების დამტკიცების გამო საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული 210 შუამდგომლობა, ანუ 17,1% .

შუამდგომლობების განხილვის შედეგები



2011 წლის იანვარში სულ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებებიდან დაპატიმრებაზე მოდის 53,6% (545), გირაოზე - 46,0% (468), პირად თავდებობაზე - 0,3% (3).

შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები



2011 წლის იანვარში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სულ შეფარდებული 1016 აღკვეთის ღონისძიებიდან საპატიმრო იყო 545, ანუ 53,6%, ხოლო არასაპატიმრო - 471, ანუ 46,4%. არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებში შეფარდებული გირაოს ხვედრითმა წილმა შეადგინა 99,4%.

ნაწილი 8 - პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები

8.1 პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა

2011 წლის იანვარში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ განხილულია 1004 საქმე 1287 პირის მიმართ, აქედან განაჩენის გამოტანით განხილულია 1001 საქმე, ანუ 99,7%, შეწყდა 3 საქმე, ანუ 0,3% (იხ. დანართი ცხრილი №11).

2011 წლის იანვარში განაჩენის გამოტანით განხილული 1001 საქმიდან 1283 პირის მიმართ, საპროცესო შეთანხმებით განხილული იყო 868 საქმე (სულ განხილული საქმეების 86,7%) 1102 პირის მიმართ (სულ განხილული პირების 85,9%), არსებითი განხილვით დამთავრდა 133 საქმე (შესაბამისად 13,3%) 181 პირის მიმართ (14,1%).

პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითად და საპროცესო შეთანხმებით

განხილული საქმეების ხვედრითი წილი განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეებში



8.2 არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები

2011 წლის იანვარში პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითი განხილვით დამთავრებული 133 საქმიდან ყველაზე გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი (იხ. დანართი ცხრილი №12).

2011 წლის იანვარში სულ არსებითი განხილვით მსჯავრდებული, გამართლებული და შეწყვეტილი 185 პირიდან იმ პირთა ხვედრითი წილი, რომელთა მიმართ საქმე შეწყდა შეადგენს 2,2% (იხ. დანართი ცხრილი №13).

8.3 საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები

2011 წლის იანვარში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ საპროცესო შეთანხმებით შემოსული იყო 832 სისხლის სამართლის საქმე 1072 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით განაჩენი გამოტანილ იქნა 868 საქმეზე 1102 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით გამოტანილ განაჩენებში საბრალდებო დასკვნით შემოსული საქმეების ხვედრითი წილი შეადგენს 42,8% (იხ. დანართი ცხრილი №14).

ნაწილი 9 - მსჯავრდებულები

9.1 მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით

2011 წლის იანვარში სულ მსჯავრდებული 1283 პირიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 581 პირს, ანუ 45,3%-ს;

- პირობითი მსჯავრი შეეფარდა 644 პირს, ანუ 50,1%-ს;

- ჯარიმა შეეფარდა 56 პირს, ანუ 4,4%-ს;

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 2 პირს, ანუ 0,1%.

მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით



9.2 მსჯავრდებულთა შემადგენლობა

2011 წლის იანვარში სულ მსჯავრდებული 1283 პირიდან მამაკაცი შეადგენდა 90,3%-ს, ხოლო ქალი 9,7%-ს.

ალკოჰოლურ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენდა 3,2%-ს, ნარკოტიკულ სიმთვრალეში კი 6,9%-ს; ჯგუფში ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 11,5%-ს. სოფლად ჩადენილი დანაშაული შეადგენს 17,7%-ს. სულ მსჯავრდებული პირებიდან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე იყო 1,2% (იხ. დანართი ცხრილი №15).

ასაკის მიხედვით მსჯავრდებულები ნაწილდება შემდეგნაირად:

- 14-17 წლის ასაკის მსჯავრდებულია 38 პირი, რაც შეადგენს 3,0%-ს,

-18-24 წლის ასაკის - 262 პირი, ანუ 20,4%,

- 25-29 წლის ასაკის - 210 პირი, ანუ 16,4%,

- 30-49 წლის ასაკის - 591 პირი, ანუ 46,1%,

- 50 წლის უფროსი ასაკის - 182 პირი, ანუ 14,2 %.

მსჯავრდებულთა განაწილება ასაკის მიხედვით



მსჯავრდებულთა შორის არასრული საშუალო განათლების მქონეა 58 პირი, ანუ 4,5%, საშუალო განათლების მქონეა 867 პირი, ანუ 67,8%, უმაღლესი განათლების მქონეა 352 პირი, ანუ 27,4%, განათლების გარეშეა 6 პირი ანუ 0,5%.

მსჯავრდებულთა განაწილება განათლების დონის მიხედვით



1283 მსჯავრდებული პირიდან:

- უმუშევარია 928, ანუ 72,3%

- სხვა მომუშავეა 95, ანუ 7,4%

- კომერციული ან სხვა ორგანიზაციის მოსამსახურეა 87, ანუ 6,8%

- კერძო მეწარმეა 64, ანუ 5,0%

- საჯარო მოსამსახურეა 45, ანუ 3,5%

- მოსწავლე ან სტუდენტია 35, ანუ 2,7% და სხვა.

მსჯავრდებულთა გადანაწილება საქმიანობის მიხედვით

(პროცენტობით)



მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონეა მსჯავრდებულთა 7,4%.

9.3 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები

2011 წლის იანვარში მსჯავრდებული იყო 38 არასრულწლოვანი, რაც შეადგენს იანვრის თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ მსჯავრდებული პირების 3,0%-ს.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულებიდან ვაჟი იყო 34, ანუ 89,5%, გოგონა - 4, ანუ 10,5%. არ მუშაობდა და არ სწავლობდა 20 არასრულწლოვანი, ანუ სულ მსჯავრდებული არასრულწლოვნების 52,6%, ჯგუფში დანაშაული ჩადენილი აქვს 10 პირს, ანუ 26,3%-ს (იხ. დანართი ცხრილი №16).

2011 წლის იანვარში სულ მსჯავრდებული 38 არასრულწლოვანიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 10 პირს, ანუ 26,3%-ს, პირობითი მსჯავრი 24 პირს, ანუ 63,2%-ს, ჯარიმა 4 პირს, ანუ 10,5%-ს.

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელების მიხედვით



მსჯავრდებული 38 არასრულწლოვანი პირი დანაშაულის სახეების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

- ქურდობისათვის მსჯავრი დაედო 18 პირს, ანუ 47,4%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 4 პირს, ანუ 22,2%;

- განზრახ მკვლელობისათვის 4 პირს, ანუ 10,5%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 4 პირს, ანუ 100,0%-ს;

- ხულიგნობისათვის 4 პირს, ანუ 10,5%-ს, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა არ შეეფარდა არცერთ პირს;

- ძარცვისათვის 3 პირს, ანუ 7,9%-ს, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 1 პირს, ანუ 33,3%-ს;

- ყაჩაღობისათვის 2 პირს, ანუ 5,3%-ს, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 1 პირს, ანუ 50,0%-ს (იხ. დანართი ცხრილები №17,18).

რეგიონების მიხედვით არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ნაწილდებიან შემდეგნაირად:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ იქნა 16 არასრულწლოვანი, ანუ 42,1%;

– სამეგრელო-ზემო სავანეთი და ქვემო ქართლის სასამართლოების მიერ 4- 4, ანუ 10,5%

- კახეთი და სამცხეთ-ჯავახეთის სასამართლოების მიერ - 3-3 არასრულწლოვანი, ანუ 7,9%;

და სხვა (იხ. დანართი ცხრილი №19).

ნაწილი 10 - დანაშაული და შეფარდებული სასჯელები

10.1 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით

2011 წლის იანვარში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით განხილულ იქნა 1001 საქმე 1283 პირის მიმართ. მსჯავრდებული1283 პირის მიერ ჩადენილი იყო 2204 დანაშაული, ხოლო დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული იქნა 2385 სასჯელი (იხ. დანართი ცხრილი №20).

2011 წლის იანვარში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული შეადგენს 7,7%-ს, მძიმე დანაშაული - 43,3%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაული - 49,0%-ს.

ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნული 2385 სასჯელიდან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი შეადგენს 9,0%-ს, მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 44.9%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 46,0%-ს.

მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშაულისა და ჩადენილი დანაშაულისათვის

დანიშნული სასჯელების სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით



განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 66,5%-ს, პირობითი მსჯავრის 33,5%-ს;

მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 49,5%-ს, პირობითი მსჯავრის 50,1%-ს, ჯარიმის 0,4%-ს.

ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 28,3%-ს, პირობითი მსჯავრის 59,6%-ს, ჯარიმის 11,8%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის 0,2%-ს.

ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის ფორმების

სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით



2011 წლის იანვარში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილია 111 ძალადობრივი დანაშაული, რაც სულ ჩადენილ დანაშაულში შეადგენს 5,0%-ს, აღნიშნული დანაშაულებისათვის დანიშნულია 116 სასჯელი, ანუ 4,9%. პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ ძალადობრივი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 73,3%-ს, პირობითი მსჯავრის - 16,4%-ს, ჯარიმის - 8,6%-ს.

ძალადობრივი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელები



იანვარში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულიდან კორუფციული დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 18,3%-ს, დანიშნული სასჯელების ხვედრითი წილი - 17,7%-ს (იხ. დანართი ცხრილი №21).

საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილ დანაშაულში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის: საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე - 35,3% (778), შემდეგ მოდის ნარკოტიკულ დანაშაულზე - 13,9% (306), ფულად-საკრედიტო სისტემაში არსებულ დანაშაულზე - 11,0% (243), საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ დანაშაულზე - 9,8% (217), სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ დანაშაულზე - 7,2% (159), მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე - 7,1% (157) და სხვა.

მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის სტრუქტურა



2011 წლის იანვარში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული 2386 სასჯელიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეადგენს 41,3%-ს (985);

- პირობითი მსჯავრი 53,0%-ს (1264);

- ჯარიმა 5,6%-ს (134);

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 0,1%-ს (2);

დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელების სტრუქტურა



10.2 დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

2011 წლის იანვარში პირველი ინსტანციის სასამართლოებში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის შეფარდებული სასჯელებიდან 848, ანუ 35,6% მოდის თბილისის საქალაქო სასამართლოზე, სამცხე-ჯავახეთის სასამართლოზე - 549, ანუ 23,0%, ქვემო ქართლზე - 207, ანუ 8,7%, იმერეთზე - 180, ანუ 7,5%, აჭარის რეგიონზე 170, ანუ 7,1%, კახეთზე - 111, ანუ 4,7% და სხვა (იხ. დანართი ცხრილი №22).

ჩადენილი დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების განაწილება

რეგიონების მიხედვით, ერთეული



ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების

სტრუქტურა რეგიონულ ჭრილში (პროცენტობით)



თითოეული დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელის ღონისძიებებში თავისუფლების აღკვეთის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: გურიაზე 78,9%, აჭარაზე 68,2%, თბილისზე - 53,6%, ქვემო ქართლზე 52,2%, იმერეთზე - 41,7%, კახეთზე 41,4%, და ა.შ.

პირობითი მსჯავრის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: სამცხეთ-ჯავახეთზე - 96,4%, რაჭა-ლეჩხუმზე - 61,5 %, იმერეთზე - 56,7%, შიდა ქართლზე - 56,3% , მცხეთა-მთიანეთზე - 54,0% და ა.შ.

ჯარიმის მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა: ქვემო ქართლი 18,4%, სამეგრელო და ზემო სვანეთზე 8,3%, მცხეთა-მთიანეთი - 8,0%, კახეთზე 6,3% და სხვა.

თავი IV. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სტატისტიკა

ნაწილი 11 - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი

11.1 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა[4] რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის შედარება

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან სქესობრივ ჭრილში

2011 წლის იანვრის მდგომარეობით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული იყო სულ 23 837 პირი. მათგან 22 669 მამაკაცი და 1 168 ქალია.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს (შემდგომში - "სამინისტროს") სტატისტიკურ-ანალიტიკურ სამმართველოში ყოველთვიურად ხდება ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პროცენტული შედარება საქართველოს მოსახლეობის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2010 წლის 1 იანვრის მონაცემებით დაფიქსირებულ რაოდენობასთან. ქვეყნის მოსახლეობის აღნიშნულ რაოდენობასთან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმდინარე წლის იანვრის მონაცემების შედარების შედეგად პატიმრების საერთო რიცხვმა (23 837) ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის (4 436 400) 0.54% შეადგინა. მამრობითი სქესის პატიმრები (22 669) ქვეყნის მამრობითი სქესის მოსახლეობის (2 108 900) 1.07%-ს, ხოლო მდედრობითი სქესის პატიმრები (1 168) ქვეყნის მდედრობითი სქესის მოსახლეობის (2 327 500) 0.05%-ს შეადგენენ (იხ. დანართი, ცხრილი №23).

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში

სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ყველაზე მეტი ხვედრითი წილი სრულწლოვან მამაკაცებზე მოდის (22 476). ქვემოთ მოცემულია ყველა დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ამსახველი დიაგრამები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში, სადაც უფრო დეტალურად არის ნაჩვენები სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების პროცენტული წილის ურთიერთმიმართება (იხ. დანართი, ცხრილი №24, №25):

[4] წინამდებარე ანგარიშში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის (თ/ა) დაწესებულებებში განთავსებული ყველა პირი აღინიშნება ტერმინით "ბრალდებულები და მსჯავრდებულები". იგივე კატეგორია შეიძლება აღინიშნებოდეს ასევე საერთო აღმნიშვნელი ტერმინით - "პატიმრები".



როგორც მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე ხანდაზმული ბრალდებულები და მსჯავრდებულები საერთო რაოდენობის ყველაზე ნაკლები პროცენტული მაჩვენებლებით ხასიათდებიან.



11.2 ბრალდებულები[5]

2011 წლის იანვრის თვეში 8 პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებაში სულ 2 181 ბრალდებული ირიცხებოდა. საერთო შეფარდებით პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 9.1%-ს ბრალდებულები შეადგენენ. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №26):

[5] წინამდებარე ანგარიშში ტერმინი "ბრალდებულები" აღნიშნავს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის (თ/ა) დაწესებულებებში განთავსებულ არამსჯავრდებულ პირებს.



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მეტი ბრალდებული 2011 წლის იანვრისთვის №8 დაწესებულებაში ირიცხებოდა.

11.3 არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2011 წლის იანვრის მონაცემებით საქართველოს სასჯელაღსრულებით სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი პატიმრების რიცხვი (195) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.8%-ს უტოლდება. მათგან 43 ბრალდებულია. არასრულწლოვანი ბრალდებულების რიცხვი ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 2.0%-ს, ხოლო არასრულწლოვანი პატიმრების საერთო რაოდენობის 22.1%-ს შეადგენს. მათგან მხოლოდ ერთია მდედრობითი სქესის. ქვემოთ მოცემულია დაწესებულებებში მათი განაწილების ამსახველი სურათი (იხ. დანართი, ცხრილი №27):



152 არასრულწლოვანი მსჯავრდებულიდან 1 მდედრობითი სქესისაა. მათი საერთო რაოდენობის პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში განაწილების მაჩვენებელი შემდეგია (იხ. დანართი, ცხრილი №27):

არასრულწლოვანი მსჯავრდებულები



11.4 მსჯავრდებულთა რაოდენობა დანაშაულის კატეგორიის მიხედვით

2011 წლის იანვრის თვეში პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის (21 656) უმეტესობას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირები შეადგენდნენ. დიდი ხვედრითი წილი აქვს მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულების რაოდენობასაც (იხ. დანართი, ცხრილი №28).

მსჯავრდებულები
დანაშაულის კატეგორიის მიხედვით



11.5 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა დადგენილ ლიმიტებთან შედარებით

”საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების შესახებ” საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №142 ბრძანებით დადგენილია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობრივი ლიმიტი თითოეული დაწესებულებისთვის. დაწესებულებებში განთავსებულ პირთა რეალური რაოდენობის შედარება ლიმიტირებულ რაოდენობასთან ხდება თითოეულ დაწესებულებასთან მიმართებაში.

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემას დაქვემდებარებულ 19 დაწესებულებაში არსებული საპატიმრო ადგილების საერთო ლიმიტირებული რაოდენობა 24 720-ს შეადგენს. 2011 წლის იანვრის მონაცემებით ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა (23 837) ამ ზღვარზე 883 პირით ანუ 3.6%-ით ნაკლებია. ამ მხრივ სხვადასხვა დაწესებულებაში განსხვავებული მდგომარეობაა. ქვემოთ მოცემულ ორ გრაფიკზე აღნიშნულია დაწესებულებების ჩამონათვალი ლიმიტებით, სადაც კლების ან მატების ნიშნით წამძღვარებული პროცენტული მაჩვენებლის ქვემოთ ფრჩხილებში მოცემულია პროცენტული რაოდენობის შესაბამისი ციფრი. ამდენად თითოეულ დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ამჟამინდელი რაოდენობის დადგენილ ლიმიტზე სიჭარბე ან ნაკლებობა გრაფიკზე გამოსახულია, როგორც რაოდენობრივი, ისე პროცენტული მაჩვენებლის ფორმით (იხ. დანართი, ცხრილი №29)[6]:

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა დადგენილ ლიმიტებთან შედარებით

მეტობისა და ნაკლებობის მაჩვენებლებით



[6] ამ გრაფიკებში არ არის ჩართული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის №9 დაწესებულების მონაცემები, მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო.



როგორც მოცემული გრაფიკებიდან ჩანს, 8 დაწესებულებაში 2011 წლის იანვარში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დადგენილ ლიმიტთან შედარებით ჭარბი რაოდენობა იყო განთავსებული. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დადგენილზე ნაკლები რაოდენობა 10 დაწესებულებაში დაფიქსირდა. პროცენტული სიჭარბის მაჩვენებლით პირველ ადგილზე №1 დაწესებულება, სიჭარბით ასევე გამოირჩევა №4 და №19 დაწესებულებები. დადგენილთან შედარებით ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ყველაზე ნაკლები რაოდენობა პროცენტულად №7 და №13 დაწესებულებებშია.

11.6 უცხოელი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

უცხოელი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის დათვლა დაწესებულებების მიხედვით მიმდინარეობს.

საქართველოს სასჯელაღსრულებით სისტემაში მოთავსებული 29 უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საერთო რიცხვი იანვრის დასასრულს 398 (პატიმართა საერთო რაოდენობის 1.7%) იყო, მათ შორის 4 ორმაგი მოქალაქეობის (ისრაელი-პოლონეთი, საქართველო-თურქეთი და რუსეთი-საქართველო). ქვემოთ დიაგრამაზე მოცემულია უცხოელ მოქალაქეთა საერთო რაოდენობის პროცენტული შემადგენლობა (იხ. დანართი, ცხრილი №30):

უცხოელი ბრალდებულები და მსჯავრდებულები



როგორც ამ დიაგრამიდან ჩანს უცხოელთა უმრავლესობას ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მოქალაქეები შეადგენენ. უცხოელთაგან უდიდესი ნაწილი თურქებზე, აზერბაიჯანელებსა და რუსებზე მოდის. ასევე დიდი ხვედრითი წილი უკავიათ სომხეთის მოქალაქეებსაც. შედარებით ნაკლები მაჩვენებლებით ხასიათდებიან ისრაელი, ინდოეთი და დანარჩენი ქვეყნები.

11.7 პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა

2011 წლის იანვარში საქართველოს პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებიდან 644 ბრალდებული და მსჯავრდებული გათავისუფლდა. ქვემოთ ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდისთვის გათავისუფლებულ პირთა საერთო რაოდენობა (იხ. დანართი, ცხრილი №31):

გათავისუფლებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები



როგორც ვხედავთ გათავისუფლებულთა უდიდესი წილი კალენდარულ გათავისუფლებაზე მოდის. შედარებით დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება პირობითი მსჯავრითა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულები (პვგ), ხოლო სხვა სახით გათავისუფლებულთა საერთო რაოდენობა (165) მთლიანი რაოდენობის 25.6%-ს შეადგენს.

11.8 რესოციალიზაცია[7]

რესოციალიზაციის მიმდინარეობის მაჩვენებელი თითოეული დაწესებულებისთვის ღონისძიებათა ტიპების მიხედვით ხორციელდება. ამ მიზნით ხდება თითოეულ პროგრამაში ჩართული მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის აღრიცხვა და მათი დაყოფა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში.

2011 წლის იანვარში პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში რესოციალიზაციის პროგრამები სულ 247 მსჯავრდებულისთვის მოქმედებდა. ყველაზე დიდი ადგილი აღნიშნულ პროგრამებში ქვემოთ მოცემული მაჩვენებლის მიხედვით ზოგადსაგანმანათლებლო და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამებს უკავია, რომელიც საანგარიშო პერიოდში შესაბამისად 94 და 55 პირისთვის მიმდინარეობდა.

დიაგრამაზე ნაჩვენებია თითოეულ რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართული მსჯავრდებულების რაოდენობის პროცენტული შედარება (იხ. დანართი, ცხრილი №32):



ამ პროგრამებში ჩართულთა ასაკობრივი მაჩვენებლის მიხედვით არასრულწლოვანთა კონტინგენტი იანვრის თვეში რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართული მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის უმრავლესობას შეადგენს (იხ. დანართი, ცხრილი №32).

[7] რესოციალიზაციის მონაცემები მოიცავს როგორც მიმდინარე, ისე საანგარიშო თვეში დასრულებულ პროგრამებს.

რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართული მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



რაც შეეხება გარე სამყაროსთან ურთიერთობას, თვის განმავლობაში ბრალდებულებმა და მსჯავრდებულებმა პაემნის უფლებით სულ 11 433-ჯერ ისარგებლეს.

11.9 დისციპლინური ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში დისციპლინური ღონისძიება პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში 168-ჯერ იქნა გამოყენებული, მათგან 17-ჯერ საყვედურის გამოცხადებით და 151-ჯერ სამარტოო საკანში მოთავსებით. ამავე პერიოდში განხორციელდა 34 წახალისების ღონისძიება (იხ. დანართი, ცხრილი №32).

11.10 სასჯელაღსრულების სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანილ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა

2011 წლის იანვარში სად-ის სასჯელაღსრულებით სისტემაში დაწესებულებებს შორის სულ 896 პირის გადაადგილება დაფიქსირდა. მათგან ყველაზე დიდი წილი გადაყვანილ იქნა სხვა პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში (იხ. დანართი, ცხრილი №33).

გადაყვანილი ბრალდებულები და მსჯავრდებულები



სად-ის სისტემის გარეთ საერთო პროფილის საავადმყოფოებში გადაყვანილ პირთა რაოდენობამ სულ 83 შეადგინა (იხ. დანართი, ცხრილი №33).

11.11 კრიმინოგენული მდგომარეობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში

დანაშაულებრივი ფაქტების ჩადენის მაჩვენებელი სასჯელაღსრულების სისტემაში გამოითვლება თითოეული დაწესებულებისთვის სსსკ მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების მიხედვით, რაც დაწესებულებებში კრიმინოგენული ვითარების ცალ-ცალკე ჩვენების გარდა საერთო ვითარების ასახვის საშუალებასაც იძლევა. ამას გარდა კრიმინოგენული სიტუაციის აღმრიცხავი მონაცემთა ცხრილები დანაშაულებრივი ფაქტებისა და მათ ჩამდენ პირთა ასაკის ურთიერთმიმართებასაც აჩვენებს.

სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით მიმდინარე წლის იანვარში საქართველოს სასჯელაღსრულებით სისტემაში მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტების რაოდენობამ სისხლის სამართლის კოდექსის 8 მუხლით გათვალისწინებული 58 ერთეული ფაქტი შეადგინა. მათგან ყველაზე მეტი ხვედრითი წილი 118-ე მუხლით ჩადენილ ქმედებებზე (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) მოდის. იანვარში ეს მაჩვენებელი 43 ერთეულს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია იანვრის თვეში გამოძიების დაწყების საფუძვლად ქცეული დანაშაულებრივი ფაქტების რაოდენობა და მათი ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში (იხ. დანართი, ცხრილი №34):

დანაშაულებრივი ფაქტები, რომლებზეც დაიწყო გამოძიება



2011 წლის იანვრის თვეში ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები

დაწესებულებებსა და დაწესებულებების გარეთ პირთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

2011 წლის იანვარში გამოძიება 15 სხვადასხვა დაწესებულებასა და დაწესებულებების გარეთ მომხდარ ფაქტებზე დაიწყო. შემდეგი გრაფიკი ჩადენილი ფაქტების რაოდენობას უჩვენებს. როგორც ვხედავთ, იანვარში ჩადენილი 58 ქმედებიდან ყველაზე მეტი - 15 ერთეულის ოდენობით №15 დაწესებულებაში იქნა ჩადენილი, ყველაზე ცოტა - 1 ერთეული ჩადენილ იქნა 4 დაწესებულებაში და 1 - დაწესებულების გარეთ (იხ. დანართი, ცხრილი №34).

ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები



საანგარიშო პერიოდში გამოძიება ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტზე სულ 53 პირის მიმართ წარიმართა. გამოძიების ობიექტი ქმედების ჩამდენ პირთა საერთო რაოდენობის უმრავლესობას 25-35 წლამდე ასაკის პირები შეადგენდნენ. გამოსაძიებელი ფაქტების ყველაზე ნაკლები რაოდენობა 35-ის ზემოთ ასაკობრივ ჯგუფებზე მოდის. ქვემოთ ნაჩვენებ დიაგრამაზე ასახულია 2011 წლის იანვარში ჩადენილი ქმედებებისა და ჩამდენ პირთა ასაკობრივი კატეგორიების ურთიერთმიმართება[8] (იხ. დანართი, ცხრილი №35):

[8] სსსკ 180-ე (1 საქმე) და 333-ე (4 საქმე) მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებზე გამოძიება დაწყებულია ფაქტებზე (პირების გარეშე).

პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც დაწყებულია გამოძიება



11.12 სამედიცინო მდგომარეობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში

ა) დაავადებები

სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მონაცემებით 2011 წლის იანვარში ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების შედეგად გამოვლენილ სხვადასხვა სახეობის დაავადებათა საერთო რაოდენობა 3 056-ს გაუტოლდა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია დაავადებულთა ხვედრითი წილი კონკრეტული დაავადების მიხედვით. სამედიცინო მდგომარეობის ამსახველი მონაცემთა ცხრილები ასევე იძლევა დაავადებების სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში გავრცელების რაოდენობრივი მასშტაბის დადგენის საშუალებას.

მოცემული დიაგრამის მიხედვით სასჯელაღსრულებით სისტემაში გავრცელებული დაავადებებიდან ყველაზე დიდი წილი სტომატოლოგიურ დაავადებებზე მოდის. ასევე გავრცელებულია გრძნობათა ორგანოების, სასუნთქი და საჭმლის მომნელებელი სისტემების ავადმყოფობები (იხ. დანართი, ცხრილი №36).

ავადობა სასჯელაღსრულების სისტემაში



დაავადებული პირების კატეგორიაში ყველაზე მეტი მაჩვენებლით სრულწლოვანი კაცები არიან წარმოდგენილი. არასრულწლოვან დაავადებულთა რაოდენობა 88-ს შეადგენს, რომელთაგან ერთი მდედრობითი სქესისაა (იხ. დანართი, ცხრილი №37).

დაავადებები ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ -ასაკობრივ ჯგუფებში



შემდეგი დიაგრამა განსაზღვრავს სრულწლოვანი ქალებისა და კაცების ასაკობრივი კატეგორიების ხვედრით წილს სრულწლოვან დაავადებულთა საერთო რაოდენობაში (იხ. დანართი, ცხრილი №37):

სრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაავადებები სქესობრივ -ასაკობრივ ჭრილში



მოცემული დიაგრამიდან ჩანს, რომ ა/წლის იანვრის თვეში დაავადებულთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 25-დან 35 წლამდე ასაკის კაცებში ვლინდება. მდედრობითი სქესის პატიმრებში იგივე მაჩვენებელი ყველაზე მაღალი 45 წლის ზემოთ ასაკობრივ ჯგუფშია.

შემდეგი ორი დიაგრამა აჩვენებს დაავადებათა კატეგორიების გავრცელების მასშტაბს ცალ-ცალკე მამრობითი და მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთათვის (იხ. დანართი, ცხრილი №37):

მამრობითი სქესის სრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების დავაადებები





სტომატოლოგიური დაავადებების შემდეგ, რაც ყველა კატეგორიაში ყველაზე გავრცელებულ დაავადებას წარმოადგენს, მდედრობითი სქესის ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში ნერვული სისტემის დაავადებები ჭარბობს, თუმცა მათი ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება სტომატოლოგიური დაავადებების მაჩვენებელს. ზრდასრულ მამაკაცებში სტომატოლოგიურის შემდეგ ასევე ჭარბობს სასუნთქი სისტემისა და გრძნობათა ორგანოების დაავადებები.

არასრულწლოვანი დაავადებულები დაავადებულთა მთლიანი რაოდენობის 2.9%-ს შეადგენენ. მომდევნო დიაგრამაზე აღნიშნულია დაავადებათა მაჩვენებელი არასრულწლოვან პატიმრებში დაავადების კატეგორიის მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №37):



როგორც ვხედავთ 2011 წლის იანვარში არასრულწლოვან პატიმრებში ყველაზე მეტად სტომატოლოგიური და გრძნობათა ორგანოების დაავადებები იყო გავრცელებული.

ბ) მკურნალობა

პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში მკურნალობასთან დაკავშირებული მონაცემები ამ ეტაპზე წლიურ ფორმაში ყოველთვიურად გაწეული სამედიცინო დახმარების ტიპის მიხედვით აითვლება.

ამბულატორიული ვიზიტებისა და მკურნალობის გარდა, რომლითაც მიმდინარე წლის იანვარში ბრალდებულებმა და მსჯავრდებულებმა 30 594-ჯერ ისარგებლეს, სასჯელაღსრულებით სისტემაში 1 354-ჯერ იქნა გაწეული პირველადი სამედიცინო შემოწმება, ხოლო 40-ჯერ სასწრაფო და გეგმიური ქირურგიული დახმარება.

ქვემოთ ნაჩვენები დიაგრამა პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში განთავსებულ პირთათვის 2011 წლის იანვარში გაწეულ სამედიცინო დახმარებას მისი ტიპების მიხედვით წარმოგვიდგენს (იხ. დანართი, ცხრილი №38):

სამედიცინო დახმარება სასჯელაღსრულების სისტემაში



ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია სტაციონარული მკურნალობის მიმდინარეობის მაჩვენებელი სად-ის სისტემისა და სამოქალაქო სექტორის სპეციალიზირებულ სტაციონარებში, საიდანაც ჩანს, რომ სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფ პირთა (331) უმეტესობა (266) სად-ის სამკურნალო დაწესებულებებზე მოდის (იხ. დანართი, ცხრილი №38):

სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფთა რაოდენობა



შემდეგი დიაგრამა სტომატოლოგიური მკურნალობის მიმდინარეობისას გაწეული სხვადასხვა ტიპის დახმარების მიმდინარეობის მაჩვენებელს ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №38):

სტომატოლოგიური მკურნალობა



რაც შეეხება სამედიცინო გამოკვლევებს, იანვარში ჩატარდა 4 ტიპის გამოკვლევა "აივ" ინფექცია/შიდსზე, ტუბერკულოზზე, ჰეპატიტებსა და ვენერიულ დაავადებებზე, მათგან ყველაზე დიდი მაჩვენებელი რაოდენობით - 1 820 ტუბერკულოზის რისკ-ჯგუფების გამოსავლენად წარმოებულ მასიურ სკრინინგზე მოდის (იხ. დანართი, ცხრილი №38).

ჩატარებული გამოკვლევები



2011 წლის იანვრის თვეში დაფიქსირდა სამკურნალო სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული 161 მსჯავრდებული. მათგან უმრავლესობა - 97 პირი ტუბერკულოზის სამკურნალო ''DOTS'' და ''DOTS''+ პროგრამებშია ჩართული, 51 - ''აივ'' ინფექცია/შიდსის ანტირეტროვირუსულ პროგრამაში, 10 - ''მეტადონით'' დეტოქსიკაციის პროგრამაში, 3 - შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში (ინსულინის ჰორმონით უზრუნველყოფა). ქვემოთ მოცემული დიაგრამა ამ მდგომარეობას ნათლად ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №38):

სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულთა რაოდენობა



გ) გარდაცვალება

პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში გარდაცვალების ფაქტები აღირიცხება გარდაცვალების ადგილის მიხედვით, რაზედაც დგება ყოველთვიური ფორმა. 2011 წლის იანვარში პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში 6 პირი გარდაიცვალა, მათგან 1 - №6 დაწესებულებაში, 1 - №14 დაწესებულებაში, 1 - №15 დაწესებულებაში, 3 - №18 დაწესებულებაში (იხ. დანართი, ცხრილი №39).

ნაწილი 12 - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო

12.1 პრობაციონერთა რაოდენობა[9]

პრობაციონერთა რაოდენობის სტატისტიკური მონაცემები რეგიონულად ითვლება სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში და შეფარდებული ღონისძიების მიხედვით. 2011 წლის იანვრის მონაცემებით საქართველოში სულ 32 791 პრობაციონერი დაფიქსირდა. მათი საერთო რაოდენობით რეგიონებს შორის პირველ ადგილზეა თბილისი, შემდეგ ადგილებზეა იმერეთი და ქვემო ქართლი. პრობაციონერთა ყველაზე მცირე რაოდენობა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონშია (იხ. დანართი, ცხრილი №40).

პრობაციონერები რეგიონებში



შეფარდებული ღონისძიების მიხედვით ქვეყანაში პრობაციონერთა ყველაზე მეტი რაოდენობა პირობით მსჯავრდებულ პირებზე მოდის, ხოლო მცირე მაჩვენებლებით ხასიათდება რაოდენობა იმ პირებისა, რომელთაც შეფარდებული აქვთ თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა (როგორც ძირითადი სასჯელი), საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა (როგორც ძირითადი სასჯელი) და სასჯელის გადავადება, რომლებიც დიაგრამაზე გაერთიანებულია კატეგორიაში "სხვა" (იხ. დანართი, ცხრილი №40).

[9] პრობაციის სტატისტიკის ნაწილში არაპატიმარი მსჯავრდებულები და პრობაციის ღონისძიებას დაქვემდებარებული პირები აღინიშნებიან საერთო ტერმინით - "პრობაციონერები".

პრობაციონერები შეფარდებული ღონისძიების მიხედვით



როგორც დიაგრამიდან ჩანს პრობაციის ღონისძიებაშეფარდებულ პირთა (პირობით მსჯავრდებულები, სასჯელის მოხდისგან პვგ და თავისუფლების აღკვეთის შემდგომ საპრობაციო ვადადანიშნული პირები) რაოდენობა შეადგენს ზოგადად არაპატიმარ მსჯავრდებულთა და პრობაციონერთა მთლიანი რაოდენობის ძირითად მასას, რაც დაახლოებით 99.3%-ს უტოლდება.

მთელი ქვეყნის მასშტაბით პრობაციონერთა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში უმეტესობა სრულწლოვანი მამაკაცებით არის წარმოდგენილი, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №41).

პრობაციონერთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები



2011 წლის იანვრის მონაცემებით არასრულწლოვანი პრობაციონერები (557) პრობაციონერთა საერთო რაოდენობის 1.7%-ს შეადგენენ. მათგან 4.1% მდედრობითი სქესისაა. მათი საერთო რაოდენობის კლასიფიცირება დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს (იხ. დანართი, ცხრილი №42):





12.2 პრობაციონერთა რაოდენობის მატება

2011 წლის იანვრის თვეში სასამართლო გადაწყვეტილება არასაპატიმრო სასჯელისა და პრობაციის ღონისძიების შეფარდების შესახებ სულ 1 520 პირის მიმართ იქნა გამოტანილი. შემდეგ დიაგრამაზე ასახულია ზ/ა სასამართლო გადაწყვეტილებების რაოდენობა რეგიონულად, ასევე შეფარდებული ღონისძიების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №43):

პრობაციონერების მატება რეგიონულ ჭრილში



პრობაციონერების მატება
შეფარდებული ღონისძიების მიხედვით



ქვემოთ დიაგრამაზე მოცემულია მატების დინამიკური მაჩვენებელი 2011 წლის იანვრის თვისთვის სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში (იხ. დანართი, ცხრილი №44):

პრობაციონერების მატება სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



12.3 დასრულებული საქმეები

2011 წლის იანვარში დასრულებული საქმეები (677) დასრულების საფუძვლის მიხედვით ასე ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №45):



დიაგრამაზე კატეგორიაში ''სხვა'' ერთიანდება ვადის გასვლით, სასჯელის მთლიანად მოხდით, პირობითი მსჯავრის გაუქმებითა და ნასამართლობის მოხსნით ან განაჩენით დადგენილი სასჯელის აღსრულებით, სასჯელის მოუხდელი ნაწილის ვადის გასვლით დასრულებული საქმეები, რომელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 33-ს (იხ. დანართი, ცხრილი №45).

დასრულებული საქმეების რაოდენობის მხრივ თბილისის შემდეგ მეორე ადგილი იმერეთის რეგიონს უკავია, ხოლო რაოდენობრივად ბოლო ადგილზე რაჭა-ლეჩხუმის რეგიონია 4 დასრულებული საქმით (იხ. დანართი, ცხრილი №45).



დასრულებული საქმეების რაოდენობა პრობაციონერთა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში ამგვარია (იხ. დანართი, ცხრილი №46):

დასრულებული საქმეები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



12.4 საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე რეგიონულ ჭრილში

საქართველოში 32 791 პრობაციონერის საქმე 117 პრობაციის ოფიცერზე ნაწილდება. 2011 წლის იანვრის მონაცემებით საქმეების საშუალო რაოდენობით ერთ ოფიცერზე რეგიონებში თბილისი ლიდერობს, რიგით მეორე ადგილზეა აჭარის რეგიონი, რომელსაც ქვემო ქართლი და შიდა ქართლი იდენტური მაჩვენებლებით ჩამორჩება. ყველაზე მცირე საშუალო მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში დაფიქსირდა. მთლიანი ქვეყნის მასშტაბით საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე იანვარში 280 იყო. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე საქმეების საშუალო რაოდენობის რეგიონული მაჩვენებელია ასახული (იხ. დანართი, ცხრილი №47):

საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე რეგიონულ ჭრილში



12.5 პრობაციონერთა რესოციალიზაცია

2011 წლის იანვრის თვეში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით განხორციელებული რესოციალიზაციის პროგრამები 2 რეგიონში 2 პრობაციონერისთვის მოქმედებდა. 1 მამრობითი სქესის პრობაციონერი მუშად დასაქმდა სამშენებლო კომპანია "ბელდ-ინვესტში", რომელიც გურიაში (დაბა ჩოხატაური) წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ასრულებს. ხოლო 1 მდედრობითი სქესის პრობაციონერს თბილისში გაეწია სოციალური დახმარება, კერძოდ შობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით გადაეცა საოჯახო საჩუქრები (იხ. დანართი, ცხრილი №48 და №49).